



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის

სამაგისტრო პროგრამა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
4-5 მარტი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი:
16 აპრილი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მასალათმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 25 ნოემბრის N372 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერიან გობრონიძე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიშიაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან დავითაძე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა წულაია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას “ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის” აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 25 ნოემბრის N372 გადაწყვეტილებით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის “ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის” მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები თანამედროვე მასალათმცოდნეობაში, რომლებიც ნანოელექტრონიკის და ნანოინჟინერიის სისტემური და სინთეზური ცოდნის საფუძველზე, შეძლებენ მიკრო და ნანოელექტრონიკაში გამოყენებული ნახევარგამტარული მასალების თვისებებისა და სტრუქტურების ანალიზსა და ფიზიკური და ელექტრული სისტემების მოდელირებას. ამავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს განუვითაროს დარგში არსებული უახლესი შესაძლებლობების/მოთხოვნების საფუძველზე, ახალი საინჟინრო იდეების გენერირებისა და მათი განხორციელებადობის შეფასების უნარი. პროგრამის მიზანი შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე,

პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს. ისინი კუმულაციური სახით წარმოდგენილია 5 სწავლის შედეგის სახით და შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე და შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი და მისი მოცულობაა 120 კრედიტი, მათ შორის: სავალდებულო კურსების ბლოკი - 72 კრედიტი; არჩევითი კურსების ბლოკი - 18 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 4-5 მარტს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- გასწორდეს პროგრამის კომპეტენციების რუკაზე, სასწავლო კურსის - „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი;
- სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“, „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“, „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“, „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
- სილაბუსში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“, „კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“, საშინაო დავალებათა რუბრიკები გაიწეროს მკაფიოდ;
- სამაგისტრო ნაშრომებში დაცული იქნას ციტირებული ლიტერატურის დამოწმების სავალდებულო სტილი;
- სასწავლო კურსებში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ მითითებული ლიტერატურა: S.M. Sze and K. K. Ng, Physics of Semiconductor Devices, third edition (Wiley, New York, 2007) განთავსდეს ბიბლიოთეკაში ან სილაბუსში მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა;
- გასწორდეს პროგრამის ბიუჯეტში არსებული ხარვეზები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსში „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“ სხვა კომპონენტებთან ერთად შეფასდეს სტუდენტის სემინარული მუშაობა;
- გააქტიურდეს მუშაობა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით;
- გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა და ინფორმირებულობა აკადემიური წერის პრინციპების უზრუნველსაყოფად;
- პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტს (დელტა) შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი“ შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით - „ხელშეკრულებით“.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რომლის გათვალისწინებით დააკორექტირა 2.3 ქვესტანდარტის მიმართებით გაცემული რეკომენდაცია.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის “ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის” მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები თანამედროვე მასალათმცოდნეობაში, რომლებიც ნანოელექტრონიკის და ნანოინჟინერიის სისტემური და სინთეზური ცოდნის საფუძველზე, შეძლებენ მიკრო- და ნანოელექტრონიკაში გამოყენებული ნახევარგამტარული მასალების თვისებებისა და სტრუქტურების ანალიზსა და ფიზიკური და ელექტრული სისტემების მოდელირებას. ამავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტს განუვითაროს დარგში არსებული უახლესი შესაძლებლობების/მოთხოვნების საფუძველზე, ახალი საინჟინრო იდეების გენერირებისა და მათი განხორციელებადობის შეფასების უნარი. პროგრამის მიზანი შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, ასევე შესაბამისობაშია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რაც ემსახურება კვალიფიციური, ეთიკური და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების უნარის მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას, რომელიც ერთი მხრივ, იქნება კონკურენტუნარიანი კადრი შრომის ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ, გახდება ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი. სამაგისტრო პროგრამის მიზანი არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციების და უნარების მქონე კადრების მომზადებაზე. პროგრამის კურსდამთავრებულები დაეუფლებიან ნანოსტრუქტურებში გამოვლენილ ახალ ფიზიკურ ეფექტებზე მოწყობილობების

მოქმედების პრინციპებს, კონსტრუქციულ თავისებურებებს და განვითარებული ექნებათ პრაქტიკული უნარები, რომელთა საფუძველზე შეძლებენ ექსპერიმენტებისა და გაზომვების წარმოებას. საგულისხმოა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო სხვადასხვა უნივერსიტეტის გამოცდილება და პოტენციური დამსაქმებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იქნა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
 - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
 - დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
 - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები კუმულაციური სახით წარმოდგენილია ხუთი სწავლის შედეგის სახით. პროგრამის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს - განზოგადებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და აერთიანებს რელევანტურ ცოდნასა და უნარებს. შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური და კორელაციაშია ცალკეული კურსის სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგებში ცხადად არის განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობები და ავტონომიურობა.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული სწავლის შედეგისთვის შესაბამის ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. პროგრამის ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები წარმოადგენს პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმს. სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვები, დამამთავრებელი სემესტრების სტუდენტების და კურსდამთავრებულების პერიოდული გამოკითხვები გამოყენებულია, როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - პროგრამის კომპეტენციების რუკა;
 - სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
 - დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
 - სტუდენტების და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფის ანგარიში;
 - დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის გარე შეფასება;

<ul style="list-style-type: none"> • საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	X			

პროგრამის შესაბამისობა				
------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის” სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამჭვირვალეა და სამართლიანი. პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. პროგრამაზე დაიშვებიან აპლიკანტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფიზიკის, მასალათმცოდნეობის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, კომპიუტერული ინჟინერიის ან საინჟინრო ფიზიკის მიმართულებით. დაშვების ეს წინაპირობა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას; ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესორული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-ში უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე და შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, სამაგისტრო პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს

და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. კურიკულუმის შემადგენელ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებში ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები და რესურსები. პროგრამის კომპეტენციათა რუკა ადგენს კავშირს პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის, ხოლო სემესტრული განაწილების გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტთა თანმიმდევრობასა და მთლიანობას. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი და მისი მოცულობაა 120 კრედიტი, მათ შორის: სავალდებულო კურსების ბლოკი - 72 კრედიტი; არჩევითი კურსების ბლოკი - 18 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი. პროგრამის სასწავლო კურსები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიის დარგში ექსპერიმენტული კვლევისა და მოდელირების დამოუკიდებლად განხორციელება, პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სილაბუსები;
 - კომპეტენციების რუკა;
 - პროგრამის კურსების კატალოგი და სემესტრული გადაწილებები;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანონჟინერიისთვის” სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო სწავლის შედეგები უკავშირდება პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგს, რაც ნაჩვენებია პროგრამის რუკაზე. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება მოცემულია კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და

კრიტერიუმებს/რუბრიკებს. პროგრამა თავისი სტრუქტურით, წინაპირობებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები. კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა.

ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამის კომპეტენციების რუკის მიხედვით „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“ უნდა გადიოდეს შედეგზე: „კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ახალი მასალების ფიზიკის, ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიის საკითხებში, მათ შორის: მიკრო და ნანო ელექტრონიკის, კვანტური მოწყობილობების ფიზიკის და ქიმიის მიმართულებით“, რაც საგნის შინაარსთან არ არის შესაბამისობაში და ამოსაღებია. სილაბუსის ავტორის განმარტებით ეს ტექნიკური შეცდომაა და გამოსწორდება.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სილაბუსები;
 - პროგრამის კურსების კატალოგი და სემესტრული გადანაწილება;
 - კომპეტენციების რუკა;
 - კურსების შეფასების ინსტრუმენტი;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

გასწორდეს პროგრამის კომპეტენციების რუკაზე, სასწავლო კურსის - „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარებაზე. აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ხოლო კვლევითი უნარების განსავითარებლად პროგრამა ითვალისწინებს როგორც შესაბამის სასწავლო კომპონენტებს, ასევე - სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიაზრებს ექსპერიმენტულ კვლევას და მოდელირებას, რაც გულისხმობს ახალ მასალებზე დაფუძნებული ფიზიკური/ელექტრონული სისტემის პროტოტიპის მოდელირებას და შექმნას, მისი მახასიათებლების გაზომვას, მიღებული შედეგების დამუშავება-ანალიზს და ახალი საინჟინრო გადაწყვეტილების განვითარების შეფასებას. აღნიშნული კვლევები ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი და ტექნოლოგიური

ცენტრის: “ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის”, მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის (დელტა) და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის (დელტა) ბაზაზე. ორგანიზაციებთან, სადაც ხორციელდება კვლევითი პროექტები უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც ითვალისწინებს შესაბამის თანამშრომლობას. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების კონტექსტში აღსანიშნავია მათი კვლევით პროექტებში ჩართულობა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, რომლებიც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წარმოადენენ, აქვთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები და კვლევის ხელმძღვანელობის მრავალწლიანი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სილაბუსები;
 - სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
 - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია კურსის შინაარსის და მიზნების შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები მათ შორის: • ლექცია და სემინარი; • ანალიზი და სინთეზი; • დისკუსია/დებატები; • პრაქტიკული მუშაობის მეთოდი; • ჯგუფური მუშაობის მეთოდი; • ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი; • მოდელირება; • პროექტი; • სუპერვიზია. სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის შესაბამის სილაბუსში. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმი. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის (დაბალი აკადემიური მოსწრების, მობილობით მოსარგებლე, სპეციალური საჭიროებების მქონე, სტატუსშეჩერებული, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებები) მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ქმედების განხორციელების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგია

დასაზუსტებელია. სწავლების მეთოდები და აქტივობები გასამიჯნია ერთმანეთისგან. მაგ. სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“ - გამოყენებული ტერმინი - დისკუსია/დებატები სწავლის მეთოდის ერთ-ერთი აქტივობაა; სილაბუსში „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“ - დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია აქტივობაა, სილაბუსში „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“ - დემონსტრირების მეთოდი აქტივობაა, სილაბუსებში „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ - დისკუსია აქტივობაა. ამდენად, ტერმინოლოგია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სილაბუსები;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
 - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა არგუსი;
 - კურსების შეფასების ინსტრუმენტი;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“, „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“, „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“, „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს.</p> <p>სასწავლო კურსების შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ</p>

და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, გამოკითხვების შედეგად დგინდება თუ რამდენად ინფორმირებული იყო სტუდენტი წინასწარ შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები ელექტრონულ სისტემა “არგუსში”, იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სხვა. ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს ასევე თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, სემესტრის დასასრულს და მოიცავს რამოდენიმე კომპონენტს: ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და დაცვის კომისიის შეფასებას. სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებიდან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- სასწავლო დისციპლინაში „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“ სტუდენტის შეფასება ხდება 2 შუალედური გამოცდით (35-35 ქულა) და დასკვნითი გამოცდით (30 ქულა). სილაბუსით ასევე, გათვალისწინებულია აქტივობა-სემინარული მუშაობა, რაც არ ფასდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტის შეფასებაში გათვალისწინებული იქნას სემინარის წილიც.

- ზოგიერთ სილაბუსში შეფასების რუბრიკები არ არის გამჭირვალე. ძირითადად ეს ეხება საშინაო დავალებების კომპონენტს. ასევე სილაბუსიდან არ ჩანს რამდენი დავალება/ამოცანა ეძლევა სტუდენტს, რამდენი ქულით ფასდება თითოეული ამოცანა და როდის ხდება შეფასება, თითოეული დავალების შესრულებისას თუ სემესტრის ბოლოს. ასევე დასაზუსტებელია ქულობრივი ჩაშლა. მაგალითად, სილაბუსში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“, „კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“, სტუდენტის მიერ საშინაო დავალებათა შესრულების ხარისხი ფასდება შემდეგნაირად:

8-10 ქულა - ამოხსნა ყველა ამოცანა და ესმის მიღებული შედეგები;

5-7 ქულა - ამოხსნა ამოცანათა დიდი ნაწილი და ესმის მიღებული შედეგები;

3-4 ქულა – ამოხსნა ამოცანა მცირე ნაწილი, თუმცა სრულად არ ესმის მიღებული შედეგები;

1-2 ქულა - არ ამოუხსნია ამოცანათა დიდი ნაწილი და არ ესმის მიღებული შედეგები.

0 ქულა - არ ამოუხსნია არც ერთი ამოცანა/ გადაიწერა ამოცანათა ამოხსნა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - მტკიცებულებები/ინდიკატორები
 - საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სილაბუსები;
 - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
 - პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
 - კურსების შეფასების ინსტრუმენტი;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სილაბუსში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“, „კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“, საშინაო დავალებათა რუბრიკები გაიწეროს მკაფიოდ

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსში „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“ სხვა კომპონენტებთან ერთად შეფასდეს სტუდენტის სემინარული მუშაობა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით ხდება სტუდენტთან კომუნიკაცია, სასწავლო კურსების, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების შეთავაზება, უკუკავშირი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან. სისტემაში აისახება შუალედური და დასკვნითი შეფასებები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. სისტემა ასევე გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო მედია საშუალება აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკონსულტაციო ციკლი გულისხმობს შემდეგს: ხელშეკრულებების გაფორმება სტუდენტებთან, სადაც სწავლის პირობები და მხარეთა პასუხისმგებლობები დეტალურად არის გაწერილი; საორიენტაციო შეხვედრები ახლად მიღებულ/ჩარიცხრულ სტუდენტებთან; სტუდენტებისთვის კორპორატიული ელ-ფოსტის და არგუსის პაროლის გადაცემა, რათა ისინი სრულად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში და უზრუნველყოფილი იყვნენ ნებისმიერი ინფორმაციით შეუფერხებლად; ფაკულტეტს ჰყავს კოორდინატორი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტებთან. სტუდენტს შეუძლია პირადად მიმართოს მას კონსულტაციისთვის, თუმცა, ასევე შეუძლიათ მიმართონ ელ. ფოსტის, არგუსის ან ტელეფონის საშუალებით. კოორდინატორი სტუდენტებს კონსულტაციას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიმდინარეობის შესახებ და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებსა თუ რჩევებს; სტუდენტთა კონსულტაციას ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომელი.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება ასევე, გულისხმობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის - კურიკულუმის ექსპერტის, თანამშრომლობას სტუდენტებთან; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და მის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების გამოყენების შესახებ, აკადემიური წერის ცენტრს, სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, რომელიც უშუალოდაა ორიენტირებული სტუდენტის ინფორმირებულობის გაზრდაზე ნებისმიერი მიმართულებით, დასაქმების ფორუმებს სტუდენტური ცხოვრების, დასაქმებისა და

კარიერული განვითარების კუთხით, სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებსა თუ საჯარო ლექციებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, სასტიპენდიო პროგრამებს, სსსმ და შშმ პირთა სერვისებს, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. სტუდენტზე ორიენტირებული სხვადასხვა სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს სერვისების კვლევებს. კვლევის ანგარიშები ეგზავნება შესაბამის სამსახურებს საქმიანობის შემდგომი ეფექტური დაგეგმვისთვის.

